საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოტოვიჩი იოჰან ფო

კოტოვიჩი (კ ო ო ტ ვ ი ჩ ი , კ ო ტ ო ვ ი კ უ ს ი), იოჰან ფონ (გ. 1629), ჰოლანდიელი იურისტი, იმოგზაურა იერუსალიმსა და სირიაში, რ-ის შესახებაც მოგვითხრობს თავის ნაწარმოებში „იერუსალიმსა და სირიაში მოგზაურობის აღწერა“. იერუსალიმში კ-ს უნახავს სალოცავად მისული ქართველი მხედრობა გაშლილი დროშებით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს საქართველოს სახელმწ. დროშა უნდა ყოფილიყო.

კ. წერს: „ქართველები სხვა წმინდანებზე მეტად წმ. გიორგის სცემდნენ პატივს და სამხედრო დროშებზე გამოსახული მისი სახე ყოველთვის თან დაჰქონდათ“.

თხზ.: Itinerarium Hierosolymtanum et Syriacum etc., Antv., MDC XIX, 1619.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ალ., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ., 2004; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 7, თბ., 1984.